

შპს 2023 წლის ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

“სამთომაშველი” (ს/კ 206303917)

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „სამთომაშველი“ (შემდგომში „კომპანია“) დაფუძნდა და რეგისტრირებულია საგადასახადო ორგანოში 2007 წლის 23 აგვისტოს, როგორც შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია ოპერირებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონისა და კომპანიის წესდების საფუძველზე. კომპანიის სარეგისტრაციო ნომერია: 206303917.

შპს „სამთომაშველი“ დაფუძნებულია საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2007 წლის 23 აგვისტოს #1-1/1281 ბრძანების საფუძველზე სახელმწიფოს 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით. მისი 100%-იანი წილის მფლობელი 2022 წლის 31 დეკემბრის, 2021 წლის 31 დეკემბრის და 2021 წლის 1 იანვრის მდგომარეობით არის შპს „აქტივების მართვის და განვითარების კომპანია“.

კომპანიის საქმიანობის ძირითადი მიმართულებაა მიწისქვეშა ობიექტების სამთოსამაშველო მომსახურება: ავარიების ლიკვიდაცია და აღნიშნულ ავარიებში მოყოლილი ადამიანების გადარჩენა; გვირაბების დაზვერვა და სამთოსამაშველო სამუშაოების ჩატარება.

კომპანიის სარეგისტრაციო მისამართია: სამგორის რაიონი, თრიალეთის ქ. N54, თბილისი, საქართველო. კომპანიის მთავარი ოფისი მდებარეობს რეგისტრაციის მისამართზე.

ამ ანგარიშგების გამოშვების მომენტში კომპანიის ღირებულების არის დავით ცუხიშვილი.

ამჟამად შპს „სამთომაშველი“ სამთოსამაშველო მომსახურებას უწევს ქ. ტყიბულში შპს „საქნახშირი“ და ქ. ჭიათურაში შპს „ჯორჯიან მანგანუს“ შესაბამისი ხელშეკრულებების საფუძველზე.

კომპანია საქმიანობას ეწევა საქართველოში, შესაბამისად მასზე ზემოქმედებს საქართველოში მოქმედი ეკონომიკური ფაქტორები და ფინანსური ბაზრები, რომლებიც განვითარებადი ბაზრის თვისებებით ხასიათდება. საკანონმდებლო, საგადასახადო და მარეგულირებელი სტრუქტურები განაგრძობენ განვითარებას, თუმცა მათი ინტერპრეტირება განსხვავებულად ხდება და ისინი ხშირად ექვემდებარებიან ცვლილებებს, რაც სხვა საკანონმდებლო და ფისკალურ სირთულეებთან ერთად, საქართველოში მოქმედი ორგანიზაციებისთვის გარკვეულ გამოწვევებს წარმოქმნის.

2. მომზადების საფუძველი

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად (შემდგომში “მსს ფასს”), რაც ასახავს კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკას მსს ფასს საფუძველზე. კომპანია ნათლად და უპირობოდ აცხადებს, რომ:

- მას წინა პერიოდებში წარდგენილი აქვს ფინანსური ანგარიშგება მეოთხე კატეგორიის საწარმოსთვის.
- ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მენეჯმენტმა გამოიყენა მსს ფასს, ფაქტებისა და გარემოებების საუკეთესო გამოცდილება, რაც ასევე გამოყენებულ იქნება მსს ფასს-ის შემდგომი პერიოდების ფინანსური ანგარიშგების პაკეტის მომზადებისას შესადარისი ინფორმაციის წარმოდგენით.

3. ფუნქციონალური ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა წარმოადგენს იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტას, რომელშიც იგი ფუნქციონირებს. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (“GEL”). წარდგენის ვალუტა ფინანსური ანგარიშგების წარდგენა ხდება ლარში, თუკი სხვაგვარად არ არის განსაზღვრული

4. ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მისი ეკვივალენტები მოიცავს ეროვნულ ვალუტას რეზიდენტ ბანკებში.

	2023 წელი	2022 წელი
ფული და ფულის ეკვივალენტები	28000	141000

5. სამეურნეო ოპერაციების აღრიცხვა:

შემოსავლების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით. შემოსავლები განიხილება იმ პერიოდის შემოსავლად, როდესაც იქნა გამოუმუშავებული. შემოსავლები აღირიცხება და ანგარიშგებაში აისახება წმინდა ღირებულებით.

ხარჯები აღირიცხება და ფინანსურ ანგარიშგებაში აისახება ფუნქციონალური დანიშნულების მიხედვით. ხარჯების აღიარება ხდება დარიცხვის მეთოდით.

დანახარჯები განიხილება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც იგი წარმოიშვა და უზრუნველყო ეკონომიური სარგებლის მიღება, მიუხედავად ხარჯების ფაქტიურად დაფარვის მომენტისა.

6. ძირითადი საშუალებები

კომპანია გადახედავს ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადებს ანგარიშგების ყოველი წლიური პერიოდის ბოლოს. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის განსაზღვრისას, ხელმძღვანელობა განიხილავს მოსალოდნელ გამოყენებას, სავარაუდო ტექნიკურ მოძველებას, ფიზიკურ ცვეთას და გარემოს, რომელშიც ხდება აქტივის გამოყენება. ჩამოთვლილი პირობებისა თუ შეფასებების სისტემის ნებისმიერმა ცვლილებამ შეიძლება გამოიწვიოს მომავალი ცვეთის განაკვეთის კორექტირება.

კომპანია მიწისა და შენობებისთვის იყენებს გადაფასების მოდელს. კომპანიამ დაიქირავა დამოუკიდებელი შემფასებელი რეალური ღირებულების შეფასებისთვის.

დირექტორი: დავით ცუხიშვილი



ბუღალტერი: ნინო პაპიძე



ფინანსური მდგომარეობა

ფინანსური მდგომარეობა

31/12/2023 31/12/2022

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	28,000	141,000
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	92,000	80,000
მარაგები	17,000	13,000
სხვა	17,000	13,000
საინვესტიციო ქონება	4,299,000	4,413,000
ძირითადი საშუალებები	110,000	118,000
სულ აქტივები	4,546,000	4,765,000

ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები	64,000	74,000
საგადასახადო ვალდებულებები	15,000	18,000
მოკლევადიანი წასესხები სახსრები	15,000	14,000
სულ ვალდებულებები	94,000	106,000

საკუთარი კაპიტალი

სააქციო კაპიტალი (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალი', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალი')	2,193,000	2,497,000
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)	2,241,000	2,142,000
გადაფასების რეზერვი	18,000	20,000
სულ საკუთარი კაპიტალი	4,452,000	4,659,000
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები	4,546,000	4,765,000
სულ მოკლევადიანი აქტივები	17,000	13,000
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	94,000	106,000

დირექტორი: დავით ცუხიშვილი

ბუღალტერი: ნინო პაპიძე


 ნ. პაპიძე

საქმიანობის შედეგები

საქმიანობის შედეგები

	31/12/2023	31/12/2022
ნეტო ამონაგები	793,000	794,000
მომსახურების გაწევიდან	793,000	794,000
საერთო მოგება	793,000	794,000
დასაქმებულთა ანაზღაურება	(811,000)	(780,000)
ცვეთა / ამორტიზაციის ხარჯი	(14,000)	(13,000)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	(87,000)	(128,000)
სულ საოპერაციო ხარჯები	(912,000)	(921,000)
საოპერაციო მოგება	(119,000)	(127,000)
გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა:		
სხვა არაფინანსური აქტივების გაუფასურების (ხარჯი) / აღდგენა	216,000	197,000
მოგება / (ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე განგრძობითი ოპერაციებიდან	97,000	70,000
საანგარიშგებო პერიოდის მოგება / ზარალი	97,000	70,000
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		
მთლიანი სრული შემოსავალი / (ზარალი)	97,000	70,000
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში	4,659,000	
ახალი აქციების გამოშვება (შპს-ს შემთხვევაში 'კაპიტალის გაზრდა', კოოპერატივის შემთხვევაში 'საპაიო კაპიტალის გაზრდა')		4,589,000
კაპიტალის სხვა ცვლილებები	(304,000)	
საკუთარი კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს	4,452,000	4,659,000

დირექტორი: დავით ცუნიშვილი

ბუღალტერი: ნინო პაპიძე

